Begünstigung

Wegen Begünstigung wird nach **deutschem Recht** bestraft, wer einem anderen, der eine rechtswidrige Tat begangen hat, in der Absicht Hilfe leistet, ihm die Vorteile der Tat zu sichern (§ 257 dStGB). Die Vortat des anderen muss eine straftatbestandsmäßige und rechtswidrige sein, schuldhaftes Verhalten ist nicht erforderlich. Die Hilfeleistung als Tathandlung setzt ein Verhalten voraus, das objektiv zur Vorteilssicherung geeignet ist und subjektiv mit dieser Tendenz vorgenommen wird. Im **georgischen Recht** wird die Begünstigung nach Art. 375 gStGB bestraft und setzt demgegenüber die Verdeckung einer ausdrücklich aufgelisteten, schweren oder besonders schweren Straftat ohne vorherige Absprache voraus. Begünstigung ist ein Verbrechen, das sich gegen die rechtzeitige Aufdeckung der Tat oder gegen die Eröffnung eines Strafverfahrens richtet. Anders als im deutschen Recht muss die Vortat schuldhaft begangen worden sein. Die Begünstigung nach georgischem Recht ähnelt damit der Strafvereitelung nach deutschem Recht. Gemeinsam ist beiden Rechtsordnungen, dass die Beteiligung an der Vortat eine Bestrafung wegen Begünstigung ausschließt. Die Abgrenzung erfolgt im deutschen Recht nach dem Zeitpunkt des begünstigenden Verhaltens – nach Beendigung der Vortat ist eine Teilnahme ausgeschlossen –, im georgischen dagegen nach dem Willen des Handelnden – bei einvernehmlicher Verdeckung liegt eine Teilnahme an der früheren Straftat und keine Begünstigung vor. Die Selbstbegünstigung ist jeweils straflos. Nach der Anmerkung zu Art. 375 gStGB bleibt ein naher Angehöriger straffrei. Dieses Privileg gilt im deutschen Recht für die Begünstigung nicht. (Ksc/Tts)

დანაშაულის დაფარვა

გერმანული სამართლის მიხედვით დანაშაულის დაფარვისთვის დაისჯება ის, ვინც სხვას, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება განახორციელა, დაეხმარება იმ მიზნით, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება დაიცვას (გსსკ-ის 257-ე პარაგრაფი). წინარე ქმედება უნდა იყოს ქმედების შემადგენლობის შესაბამისი და მართლსაწინააღმდეგო, არ არის საჭირო, რომ ქმედება იყოს ბრალეული. დახმარება როგორც ქმედება, მოითხოვს, რომ ობიექტურად ქონების დასაცავად იყოს ვარგისი და სუბიექტურად აღნიშნული ტენდენციით განხორციელებული. **ქართულ სამართალში** სსსკ-ის 375-ე მუხლით ისჯება დანაშაულის დაფარვა და გულისხმობს სახელდებით ჩამოთვლილი, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების დაფარვას წინასწარი შეთანხმების გარეშე. დანაშაულის დაფარვა არის დანაშაული, რომელიც მიმართულია დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ. გერმანული სამართლისგან განსხვავებით, წინარე ქმედება უნდა იყოს ბრალეულად განხორციელებული. დანაშაულის დაფარვა ქართული სამართლის მიხედვით ამით ჰგავს სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის აღსრულებისთვის ხელის შეშლას გერმანული სამართლის მიხედვით. ორივე მართლწესრიგისთვის საერთოა ის, რომ

წინარე ქმედებაში მონაწილეობა გამორიცხავს დანაშაულის დაფარვისთვის დასჯადობას. გერმანული სამართლის მიხედვით გამიჯვნა ეფუძნება ქმედების დაფარვის დროს – წინარე ქმედების ფაქტობრივად დამთავრების შემდეგ თანამონაწილეობა გამორიცხულია –, ქართულ სამართალში მოქმედი პირის ნების შესაბამისად – წინასწარი შეთანხმებით დანაშაულის დაფარვისას სახეზეა თანამონაწილეობა წინარე დანაშაულში და არა დანაშაულის დაფარვა. საკუთარი დანაშაულებრივი ქმედების დაფარვა არ არის დასჯადი. სსსკ-ის 375-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით ახლო ნათესავი არ ისჯება დანაშაულის წინასწარშეუპირებელი დაფარვისთვის. გერმანულ სამართალში ასეთი რეგულირება დანაშაულის დაფარვასთან დაკავშირებით არ არსებობს. (Ksc/Tts)